

ჩანართი
ინფორმაცია პაციენტებისთვის

პულმოდინი 2 მგ/მლ, სიროფი 150მლ
Fenspiridi hydrochloridum

პრეპარატის გამოყენებამდე აუცილებელია ჩანართის კარგად გაცნობა, ვინაიდან ის შეიცავს პაციენტისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას

- მოცემული პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს ისე როგორც ეს აღწერილია ჩანართში ან ექიმის ან ფარმაცევტის რჩევით.
- შეინახეთ მოცემული ჩანართი რათა აუცილებლობის შემთხვევაში გადაიკითხოთ.
- თუ გჭირდებათ რჩევა ან დამატებითი ინფორმაცია პრეპარატთან დაკავშირებით, მიმართეთ ფარმაცევტს.
- თუ პაციენტს გამოუვლინდა რაიმე არასასურველი სიმპტომები მათ შორის ისეთი არასასურველი სიმპტომები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი მოცემულ ჩანართში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ექიმს ან ფარმაცევტს. იხილეთ პუნქტი 4.
- თუ 4-5 დღის განმავლობაში არ გამოვლინდა გაუმჯობესება ან პაციენტი უარესად გრძნობს თავს, აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

ჩანართის შინაარსი

1. რა არის პრეპარატი პულმოდინი და რა მიზნით გამოიყენება
2. მნიშვნელოვანი ინფორმაცია პრეპარატის პულმოდინი გამოყენებამდე.
3. როგორ მიიღება პრეპარატი პულმოდინი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. როგორ ინახება პრეპარატი პულმოდინი
6. გამოშვების ფორმა და სხვა ინფორმაცია

1. რა არის პრეპარატი პულმოდინი და რა მიზნით გამოიყენება

პულმოდინი არის პრეპარატი სიროფის სახით. შეიცავს მოქმედ ნივთიერებას ფენსპირიდის ჰიდროქლორიდს, რომელიც ავლენს ანთების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელ მოქმედებას. ფენსპირიდი აქვეითებს იმ ნივთიერებების გამომუშავებას, რომლებიც მონაწილეობენ ანთებით პროცესში და აბლოკირებენ H_1 რეცეპტორებს, რაც ამცირებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის შეშუპებას, ამცირებს გადაჭარბებულ სეკრეციას და ბრონქების სპაზმს.

გამოყენების ჩვენება

ბრონქიტის და ფილტვების ანთების სიმპტომური მკურნალობა (ხველა და ამოხველება).

ყურადღება: პრეპარატით მკურნალობა არ აფერხებს ანტიბიოტიკებით თერაპიის დაწყებას თუ ის აუცილებელია.

თუ 4-5 დღის განმავლობაში არ გამოვლინდა გაუმჯობესება ან პაციენტის მდგომარეობა უარესდება, აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

2. მნიშვნელოვანი ინფორმაცია პრეპარატის პულმოლინი გამოყენებამდე.

როდის არ შეიძლება პრეპარატ პულმოლინის მიღება

- თუ პაციენტს აქვს ალერგია ფენსპირიდის ან პრეპარატის რომელიმე სხვა კომპონენტის მიმართ (მითითებული მე-6 პუნქტში)
- 2 წლამდე ასაკის ბავშვებში

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები

პრეპარატის პულმოლინი გამოყენება არ ცვლის ანტიბიოტიკებით მკურნალობას

ბავშვები

არ შეიძლება პრეპარატის პულმოლინი მიღება 2 წლამდე ასაკის ბავშვებში

პრეპარატი პულმოლინი და სხვა სამკურნალო საშუალებები

აუცილებელია ექიმის ინფორმირება ამჟამად და ბოლო დროს მიღებული პრეპარატების შესახებ, ასევე იმ პრეპარატების შესახებ, რომლის მიღებასაც პაციენტი გეგმავს.

არ არის გამოვლენილი პულმოლინის ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან

თუმცა პრეპარატის მოქმედების სახით მოსალოდენელია ურთიერთქმედება:

- სხვა ანტიჰისტამინურ საშუალებებთან (რომლებიც გამოიყენება ალერგიის სამკურნალოდ)
- ბარბიტურატებთან (პრეპარატებთან რომლებიც გამოიყენება უძილობის და ეპილეფსიის სამკურნალოდ)
- ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებთან (მათ შორის ოპიოიდებთან- ძლიერმოქმედ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებთან)
- დამამშვიდებელ საშუალებებთან
- მაო-ს ინჰიბიტორებთან (პრეპარატებთან, რომლებიც გამოიყენება ნაწილობრივ დეპრესიის სამკურნალოდ)
- ალკოჰოლთან

პრეპარატი პულმოლინი საკვებთან და სასმელთან ერთად

პრეპარატის პულმოლინი მიღება უნდა მოხდეს ჭამის დაწყებისას.

ორსულობა და ძუძუთი კვება

თუ პაციენტი ორსულადაა და ძუძუთი კვებას ჩვილს, სავარაუდოდ არის ორსულად ან გეგმავს ბავშვის გაჩენას, პრეპარატის მიღებამდე უნდა მიმართოს ექიმს ან ფარმაცევტს.

ორსულობა

არ არის რეკომენდებული პრეპარატის პულმოდინი მიღება ორსულობის პერიოდში და ფერტილური ასაკის ქალების მიერ, რომლებიც არ იყენებენ ეფექტურ კონტრაცეფციულ მეთოდს. არ არსებობს მონაცემები ფენსპირიდის გამოყენების შესახებ ორსულობის პერიოდში.

ძუძუთი კვება

არ არის რეკომენდებული პრეპარატის პულმოდინი მიღება ძუძუთი კვების პერიოდში. არ არსებობს საკმარისი მონაცემები პრეპარატის შეღწევის შესახებ ლაქტატში.

ავტოტრანსპორტის და სხვა მექანიზმების მართვა

სამკურნალო პრეპარატი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ავტოტრანსპორტის მართვაზე და სხვა მექანიზმებთან მუშაობაზე. თუ ვლიდება ძილიანობა არ შეიძლება ავტოტრანსპორტის მართვა და სხვა მექანიზმებთან მუშაობა.

სამკურნალო პრეპარატი პულმოდინი შეიცავს მეთილპარაჰიდროქსიბენზოატს, პროპილპარაჰიდროქსიბენზოატს და ნარინჯისფერ ყვითელს.

სამკურნალო პრეპარტი შეიცავს საქაროზას.

თუ პაციენტს ადრე გამოუვლინდა ზოგიერთი შაქრის აუტანლობა, პრეპარატის გამოყენებამდე უნდა მიმართოს ექიმს.

5 მლ სიროფი შეიცავს 3 გ საქაროზას, ხოლო 15 მლ სიროფი შეიცავს 9 გ საქაროზას. ეს მონაცემები გათვალისწინებული უნდა იყოს დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.

სამკურნალო პრეპარატი შეიცავს მეთილპარაჰიდროქსიბენზოატს და პროპილპარაჰიდროქსიბენზოატს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ალერგიული რეაქციები (შესაძლებელია დაყოვნებული რეაქციები)

სამკურნალო პრეპარტი შეიცავს ნარინჯისფერ ყვითელს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები (შესაძლებელია დაყოვნებული რეაქციები)

3. როგორ მიიღება პრეპარატი პულმოდინი

მოცემული პრეპარატის მიღება ყოველთვის უნდა მოხდეს ჩანართის ან ექიმის ან ფარმაცევტის ინსტრუქციის შესაბამისად. ეჭვის შემთხვევაში აუცილებელია ექიმის ან ფარმაცევტის კონსულტაცია.

მიიღება პერორალურად. შეფუთვაში მოთავსებულია მზომი ჭიქა, რომელიც აადვილებს დოზირებას.

რეკომენდებული დოზა

რეკომენდებულია სამკურნალო პრეპარატის მიღება ჭამის დაწყებისას. პრეპარატის მიღება ხდება 2 ან 3 გაყოფილ დოზად.

2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები

4 მგ/კგ სხეულის წონა/დღე, ანუ;

- 10 კგ-მდე მასის ბავშვები: 10-20 მლ სიროფი დღეში
- 10 კგ-ზე მეტი მასის ბავშვები: 30-60 მლ სიროფი დღეში

მოზრდილები

45-90 მლ სიროფი დღეში

გამოყენება ბავშვებში

არ შეიძლება პრეპარატის გამოყენება 2 წლამდე ასაკის ბავშვებში

თუ სიმპტომები ძლიერდება ან არ ქრება 4-5 დღის განმავლობაში, საჭიროა ექიმის კონსულტაცია

პულმონინის რეკომენდებულზე მაღალი დოზის მიღებისას

რეკომენდებულზე მაღალი დოზის მიღებისას აუცილებელია ექიმის ან ფარმაცევტის დაუყოვნებელი კონსულტაცია.

პულმონინის რეკომენდებულზე მაღალი დოზის მიღებისას შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: ძილიანობა ან აგზენობა, ღებინება, გულისრევა, გულისცემის აჩქარება (ტაქიკარდია). ექიმი ნიშნავს კუჭის ამორეცხვას და გულის მუშაობის მონიტორინგს.

პრეპარატ პულმონინის დოზის გამოტოვებისას

არ შეიძლება ორმაგი დოზის მიღება, რათა მოხდეს პრეპარატის გამოტოვილი დოზის აღდგენა.

პრეპარატის მიღებისას შემდგომი ეჭვების შემთხვევაში აუცილებელია ექიმის ან ფარმაცევტის კონსულტაცია.

4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

მოცემულმა პრეპარატმა, ისევე როგორც სხვა სამკურნალო საშუალებებმა, შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოქმედება, თუმცა ეს ყველაში არ ვლინდება.

აუცილებელია ექიმთან ან უახლოეს საავადმყოფოში დაუყოვნებელი ვიზიტი თუ გამოვლინდა:

ანგიონევროზული შეშუპება (მწვავე ალერგიული რექცია - სახის, კიდურების ან სახსრების უცაბედი შეშუპება ქავილის და ტკივილის გარეშე). შეშუპებამ თავის და კისრის არეში შეიძლება გამოიწვიოს ყლაპვის და სუნთქვის გაძნელება.

პრეპარატის პულმოინი მიღებისას შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი გვერდითი მოქმედება:

- ალერგიული რეაქციები, როგორც არის ერთემა (კანის ადგილობრივი გაწითლება), გამონაყარი (ქავილით მიმდინარე წითელი პაპულები კანზე), ჭინჭრის ციება (ღია ვარდისფერი, ქავილით მიმდინარე წყლულები კანზე). ერთემა, რომელიც გადადის მყარ ჰიპერქრომაზიაში.
- ძილიანობა
- გულისცემის აჩაქრება რომელიც წყდება პრეპარატის დოზის შეწყვეტის შემდეგ (ვლინდება იშვიათად, ანუ ნაკლებად ვიდრე 1000-დან 1 ადამიანში)
- კუჭ-ნაწლავის მხრივ დარღვევები, გულისრევა, ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში.

ზოგიერთ პირებში, რომლებიც იღებენ პრეპარტს პულმოინი, შეიძლება გამოვლინდეს სხვა გვერდითი მოქმედება.

შეტყობინება საეჭვო გვერდით რეაქციებზე

თუ ვლინდება ნებისმიერი გვერდითი რეაქციის, მათ შორის, ნებისმიერი შესაძლო სიმპტომები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ჩანართში, აუცილებელია ექიმის ან ფარმაცევტის ინფორმირება.

გვერდითი რეაქციები შესახებ აუცილებელია სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების და ბიოციდური პროდუქციის რეგისტრაციის სამმართველოს სამკურნალო პრეპარატების გვერდითი რეაქციის მონიტორინგის დეპარტამენტის უშუალო ინფორმირება.

Al. Jerozolimskie 181C, 02-222, Warszawa

ტელ: +48 22 49 21 301

ფაქსი: +48 22 49 21 309

ელ-ფოსტა:ndl@urpl.gov.pl

გვერდითი ეფექტების შეასხებ ინფორმაციის წყალობით შეიძლება მეტი მონაცემების შეკრება პრეპარატის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

5. როგორ ინახება პრეპარატი პულმოინი

პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის უხილავ და მიუღწევად ადგილას.

ინახება ორიგინალურ შეფუთვაში, 25°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე. არ ინახება მაცივარში. არ შეიძლება გაყინვა.

არ შეიძლება პრეპარატის მიღება შეფუთვაზე ან ყუთზე მითითებული შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ. შენახვის ვადა მიუთითებს მოცემული თვის უკანასკნელ დღეს.

არ შეიძლება პრეპარატების გადაყრა კანალიზაციაში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათავსებში. აუცილებელია ფარმაცევტის კონსულტაცია იმ სამკურნალო საშუალებების განადგურებასთან დაკავშირებით რომლებიც აღარ არის საჭირო. ასეთი ქმედება ხელს უწყობს გარემოს დაცვას.

6. გამოშვების ფორმა და სხვა ინფორმაცია რას შრიცავს პრეპარტი პულმოდინი

- პრეპარატის მოქმედი ნივთიერება არის ფენსპირიდის ჰიდროქლორიდი, 1 მლ სიროფი შეიცავს 2 მგ ფენსპირიდის ჰიდროქლორიდს.
- სხვა კომპონენტები: მეთილპარაჰისროქსიბენზოატი (E218)
პროპილპარაჰიდროქსიბენზოატი (E216), კალიუმის სორბატი (E 202),
გლიცერინი 99.5%, ნატრიუმის საქარინი, საქაროზა, მწარე ფორთოხლის
ნაყენი, ნარინჯისფერი ყვითელი (E 110), ვანილის არომატი AR0345,
უწყლო ლიმონმჟავა, გასუფთავებული წყალი.

როგორ გამოიყურება პრეპარატი პულმოდინი და რას შეიცავს შეფუთვა
პრეპარატს პულმოდინი აქვს სიროფის ფორმა
პრეპარატის შეფუთვა: ყავისფერი შუშის ფლაკონი სახურავით, მუყაოს ყუთში.
შეფუთვაში მოთავსებულია მზომი ჭიქა.

პასუხისმგებელი პირი და მწარმოებელი
ალფოფარმ პოლონური ფარმაცია შპს
პარტიზანცკას ქუჩა 133/151
95-200 პაბიანიცე, პოლონეთი

ჩანართის უკანასკნელი აქტუალიზაციის თარიღი